# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 24 აპრილი. 2019 წ. №82 (8748) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## პანკისელებო, ③ სიბნელეს მხოლოდ სინათლე ამარცხებს!





## უკრაინის ახალ პრეზიდენტს „ტრამპის ⑥ ეფექტი“ ელის

## ღორივით ② გაუმაძღარნი!

## რომელი ქვეყნის სამშენებლო კანონმდებლობით შენდება ④ ცათამბჯენები ბათუმში?

## როგორ „გვჭამს“ ⑤ ტერორიზმი, სეპარატიზმი, კორუფცია, ოკუპაცია...



## ვანო მაჭავარიანი: აი, თქვენი გასაშვები რომ გავხდები, მაშინ დაიქცა ეს ქვეყანა!

**პარლამენტში, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში, ოპოზიციამ გუშინ ფინანსთა მინისტრი საფინანსო სისტემის რეკეტში დაადანაშაულა.** საბანკო რეგულაციებზე, საპენსიო რეფორმასა და საგარეო ვალებზე მსჯელობას კი კამათი მოჰყვა.

**„მთელი ამ პერიოდის განმავლობაში და დღესაც კი ამაყობთ ე.წ. ვალების განულებით. ვალების განულების ამ პროცესის ორგანიზატორი იყავით თქვენ, ეროვნული ბანკი, პრემიერ-მინისტრი. ყოველ დღე ჩანდით ტელევიზიით და მოგწერეთ წერილი, ვალების განულება რა დაუჯდა თქვენს პარტნიორ იმ „ქართუ ფონდს“ თუ ვიღაცას და რა პასუხი მივიღეთ? — ვალების განულება ჩვენ არ გვეხებაო, ეს ორ კომერციულ სუბიექტს შორის არსებული კონფიდენციალური ინფორმაციაა და ვერ გეტყვითო. ხელისუფლებამ მოახდინეთ საფინანსო სისტემის რეკეტი და ივანიშვილმა ამაში კაპიკებიც კი არ გადაიხადა,“** — განაცხადა რომან გოცირიძემ და აღნიშნა, რომ ფინანსთა მინისტრს მოუწევს პასუხის გაცემა წერილებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასაც ისევე დაატოვებინებენ პოსტს, როგორც ეს სხვა ფინანსთა მინისტრების შემთხვევაში მოხდა. რომან გოცირიძის კრიტიკას ვანო მაჭავარიანმა ასე უპასუხა:

**„ეს ღია, პირწმინდა ტყუილები არც ერთს არ უთქვამს. აი, ჩვეულებრივად ღიად შეგიძლიათ ამ ასაკის კაცს, იჯდეთ და იდემაგოგოთ... აი, თქვენი გასაშვები რომ გავხდები, მაშინ დაიქცა ეს ქვეყანა!“**

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ვანო მაჭავარიანს მოუწია ოპონენტებისთვის პასუხის გაცემა, საპენსიო რეფორმაა. ოცნებიდან წასულმა ბექა ნაცვლიშვილმა ადგილზე კალკულაცია წარმოადგინა, თუ რა რაოდენობის პენსიას აიღებს 500-ლარიანი ხელფასის მქონე პირი, რომელსაც 7 წელი დარჩა შენატანების გასაკეთებლად. მისი თქმით, საპენსიოდ შეგროვილი მისი თანხა 50 ლარი და 70 თეთრი იქნება.

**ვანო მაჭავარიანის მტკიცებით კი, ეს თანხა 2000 ლარსაც კი ასცდება და დეპუტატი არასწორ კალკულაციას აკეთებს.**



## აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს! 8

## ერის წყლული აჩნდეს წყლულად...



# პრემიერმა წიგნის მსოფლიო დღე წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიულოცა

**წეროვანში უახლოეს ერთ წელიწადში ახალი სკოლა აშენდება, — შესაბამისი დავალება პრემიერ-მინისტრმა განათლების სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობას გუშინ მისცა.**

წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, მამუკა ბახტაძე დღეს წეროვანის მე-3 საჯარო სკოლას სტუმრობდა, რომლის ბიბლიოთეკას საჩუქრად შემეცნებითი და კლასგარეშე საკითხავი მხატვრული ლიტერატურა გადასცა. პრემიერმა სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებთან შეხვედრისას განათლების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე გაამახვილა ყურადღება და მათ წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე მიულოცა.

**„დღეს საერთაშორისო საზოგადოება წიგნის დღეს აღნიშნავს. წიგნი ყველას ძალიან უნდა გვიყვარდეს, ის არის გზა ყველაფერი საუკეთესოსკენ. ყველაზე დიდი, რაც შეგიძლიათ მშობლებს და სამშობლოს აჩუქოთ, ეს არის სწავლა და წიგნის სიყვარული. მე განსაკუთრებით მიყვარს ის კუთხე, საიდანაც თქვენ ხართ. დარწმუნებული ვარ, კიდევ ძალიან ბევრ ლამაზ სკოლას ავაშენებთ თქვენს ულამაზეს კუთხეში. ეს აუცილებლად მოხდება ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის, რომელსაც თქვენააშენებთ და რომლის მოქალაქეებიც თქვენ ხართ“,** — მიმართა პრემიერ-მინისტრმა მოსწავლეებს.

მთავრობის მეთაურმა წეროვანის მე-3 საჯარო სკოლის მასწავლებლებს მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა მათ როლს განათლების მასშტაბური რეფორმის წარმატებით განხორციელების პროცესში.



მთავრობის მეთაური წეროვანის მე-3 საჯარო სკოლაში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ბატიაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

# კახი კალაძემ ჟურნალისტებს „ორიანი“ დაუწერა!

თბილისის მერს კახი კალაძეს ჟურნალისტმა მსახიობ ლევან ჯიბლაშვილთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა.

**„დღეს ორიანი დაგიწერეთ, არ ხართ კარგად მომზადებული. ამიტომ კარგად მომზადებული მოდით და მერე დამისვით კითხვები“,** — თქვა თბილისის მერმა.

შეგახსენებთ, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მსახიობმა დაკავებისას თბილისის მერი ახსენა, რომ მისთვის დაერეკათ.

# ქართული ენით მეტყველებისთვის დააჯილდოვეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კვირეულის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის ელჩი ჯასტინ მაკენზი სმიტი გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისთვის დააჯილდოვეს.

**„ელჩი ჯასტინ მაკენზი სმიტი დაჯილდოვდა ქართული ენით მეტყველებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. ეს პრივილეგიაა“,** — წერია საელჩოს ტვიტერის გვერდზე.

უნივერსიტეტმა ასევე დააჯილდოვა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე **ელიზაბეტ რუდი** და უნგრელი **ელეს არპადი.**

გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისთვის უნივერსიტეტის ჯილდო გადაეცათ ასევე: ქართველოლოგს, იაპონიის საელჩოს კულტურის ყოფილ ატაშეს, ენათმეცნიერს, ტოკიოს უცხო ენების უნივერსიტეტის პროფესორს **იასუჰირო კოჯიმას;** საზოგადო მოღვაწეს, მწერალ **კოტე ჯანდიერს;** ჟურნალისტს **თამარ ცაგარეიშვილს;** ღვაწლმოსილ მეცნიერს **მერი ნიკოლაიშვილს;** ახალგაზრდა მეცნიერებს: **ნიკო ქელბაქიანს** და **გიორგი ჯღარკავას;** მთარგმნელს **ანი კოპალიანს**. გამარჯვებულები უნივერსიტეტის პროფესორებისა და საზოგადო მოღვაწეებისგან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა.




# დავით სერგეენკო პრეზიდენტს არ ეთანხმება

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო პრეზიდენტის შენიშვნებს არ იღებს და აცხადებს, რომ სოციალური დახმარების პროცესი უწყვეტად მიდის და არასდროს გაჩერებულა.



**„სოციალური დახმარების დანიშვნა სხვა არაფერი არ არის, თუ არა ოჯახის სოციალური საჭიროებებისა და შინამეურნეობების შეფასება. ეს პროცესი უწყვეტად მიდის და არასდროს გაჩერებულა. რაც შეეხება მარტვილში უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს, ჩემი ცალსახა პოზიციაა, რომ ახლა, როდესაც ოჯახი გლოვობს და ჯერ ბავშვი არ დაუკრძალავთ, ამაზე ჩემგან საუბარი არ იქნება სწორი“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 22 აპრილს გამართულ ბრიფინგზე განცხადა, რომ შიმშილისა და თვითმკვლელობის ურთიერთკავშირი არის ქვეყნის ტრაგედია და სახელმწიფოს სირცხვილი. პრეზიდენტმა ჯანდაცვის სამინისტროსა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს მოუწოდა, სასწრაფოდ დაიწყონ სოციალურად დაუცველი, უკიდურესად ღარიბი ოჯახების აღწერა და ამ ოჯახების ბავშვებისთვის მიღებულ იქნას განსაკუთრებული ზომები.

# ლაშა ჟვანიამ „მენეჯმენტი“ დაალაგა და უკან დაბრუნდება!..

**პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას თანამდებობიდან წასვლასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის პრესსპიკერი განმარტებებს აკეთებს.**

მისი თქმით, ჯერჯერობით მისთვის უცნობია, ვინ დაიკავებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობას და არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ ლაშა ჟვანიასა და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შორის გარკვეული უთანხმოება იყო.

**„არავითარი დაპირისპირება არ არის. ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონი ლაშა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოვიდა საპატრიარქოდან, სადაც 8 წელზე მეტხანს მუშაობდა და ის მოვიდა იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც აქ დალაგდებოდა მენეჯმენტი, გარკვეული დროის შემდეგ, ის შეძლებდა უკან დაბრუნებას ყოფილ სამსახურში. პირველ მაისამდე ბატონი ლაშა რჩება სამსახურში და შეასრულებს თავის მოვალეობას“,** — განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

# მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერს ავტომანქანა დაუწვეს!

**ზესტაფონში ავტომანქანა დაიწვა. როგორც მუნიციპალიტეტის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ვახტანგ რობაქიძე აცხადებს, დამწვარი ავტომობილი მის მხარდამჭერს გიორგი ქამუშაძეს ეკუთვნის, ფაქტი კი შემთხვევითი ინციდენტით არ არის გამოწვეული. მერობის კანდიდატის თქმით, მანქანა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაწვა.**

მომხდარს მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი შუალედურ არჩევნებს უკავშირებს. როგორც რობაქიძე ამბობს, აღნიშნული მანქანით თბილისში საარჩევნო ბუკლეტები უნდა გადმოეტანათ. შემთხვევა ზესტაფონში წუხელ მოხდა.

# ლორივით გაუმაძღარნი!

## საწვავის ფასის ზრდა საქართველოში არანაირ კავშირში არ არის ბაზრის პრინციპებთან

**აფბას ვიცე-პრეზიდენტი: „მსოფლიო ბირჟაზე ნავთობის ფასი ძვირდება და კომპანიები საქართველოში 4 დღეში უკვე ფასს ცვლიან — ეს, რასაკვირველია, განპირობებულია მათი ინდივიდუალური მადიდან გამომდინარე და ამას საბაზრო პრინციპებთან არანაირი კავშირი არა აქვს.“**

1 კვირის განმავლობაში საქართველოში საწვავის ფასი გაიზარდა, ეს კი საერთაშორისო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასის მომატებამ გამოიწვია. უცხოური მედიის ინფორმაციით, ბოლოდროინდელი ფასის მატების მთავარი მიზეზი საუდის არაბეთის მხრიდან ექსპორტის შემცირება და ამერიკის შეერთებული შტატების შემცირებული მარაგები. ამერიკის მარაგები ბოლო 4 კვირის განმავლობაში პირველად შემცირდა, საუდის არაბეთის მხრიდან ნავთობის ექსპორტი კი, 277,000 ბარელით შემცირდა. გარდა ამისა, ამერიკის სანქციებმა ვენესუელასა და ირანზე ასევე შეამცირა ნავთობის მიწოდება და ჯამურად, ამ ყველაფერმა ნედლი ნავთობის ფასის გაზრდა გამოიწვია.

რა პრინციპით განახორციელეს კომპანიებმა საქართველოში საწვავის ფასების ზრდა და არის თუ არა პირდაპირ კავშირში ეს ცვლილება გლობალურ ტენდენციებთან, ამასთან დაკავშირებით „კომერსანტი“ აფბას ვიცე-პრეზიდენტს და ეკონომისტ **პაატა ბაირახტარს** ესაუბრა. ეკონომისტის განცხადებით, კომპანიების ფასების ცვალებადობა ბუნდოვანია და აცდენილია საბაზრო ტენდენციებს.

**„ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ერთი თვის განმავლობაში ნედლი ნავთობის 4 დოლარით გაძვირებას, ფაქტობრივად, ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა საწვავის ფასზე. თუმცა ჩვენი საწვავის ბაზარი აცდენილია როგორც კონკურეტულ გარემოს, ასევე არსებითად საერთაშორისო ტენდენციებს. ბუნდოვანია მათი ფასების ცვლილების პოლიტიკა.**

**4-დოლარიანი მატება, ეს არის ერთი თვის მონაკვეთის ცვლილება, ხოლო ბოლო მატებები, რომელიც დაფიქსირდა მსოფლიო ბაზარზე, დროის ისეთ მოკლე მონაკვეთში მოხდა, რომ შეუძლებელია, ამან ადგილობრივ ბაზრებზე მოასწროს გადაცემა. ამას სჭირდება გაცილებით მეტი დრო და კომპანიებმა უბრალოდ ეს ყველაფერი გამოიყენეს იმის მიზეზად, რომ თავიანთ ქსელში ფასების კორექტირება მოეხდინათ. კომპანიებმა იმაზე სწრაფად ასახეს ფასები, ვიდრე ეს გადაცემას მოასწრებდა. როდესაც ნედლი ნავთობის ფასი ბირჟაზე იმატებს, მას სჭირდება გადაცემის ეფექტი. კომპანიამ რაღაც პერიოდში უნდა ამოწუროს შემოტანილი საწვავის მარაგი და ახალი მარაგი გაძვირებულ ფასში შემოიტანოს, შემდეგ შემოტანილი მარაგი გაუშვას საცალო ქსელში და ამას გარკვეული პერიოდი სჭირდება.**



**მსოფლიო ბირჟაზე ნავთობის ფასი ძვირდება და კომპანიები საქართველოში 4 დღეში უკვე ფასს ცვლიან — ეს, რასაკვირველია, განპირობებულია მათი ინდივიდუალური მადიდან გამომდინარე და ამას საბაზრო პრინციპებთან არანაირი კავშირი არ აქვს.“** — განაცხადა ეკონომისტმა „კომერსანტთან“ საუბარში.

# პანკისელებო, სიბნელეს მხოლოდ სინათლე ამარცხებს!



ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოს მთავრობამ მცირე ჰესების — **„ხადორი 3“**-ის და **„სამყურაწყალი 2“**-ის ინვესტორ კომპანიას, შპს „ალაზანი ენერჯის“ მხოლოდ მას შემდეგ გაუფორმა მემორანდუმი და გასცა მშენებლობის ნებართვა, რაც ყველა სახელმწიფო უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროექტი დადებითად შეაფასა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, კომპანიის მხრიდან აღნიშნული კომუნიკაციის ფარგლებში მოხდა „სამყურაწყალი 2“-ის ჰესის პროექტის ოპტიმიზაცია და მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე უარი ითქვა კაშხლის აშენებაზე. შედეგად, როგორც „ხადორი 3“, ასევე „სამყურაწყალი 2“ გარემოსთვის მაქსიმალურად უვნებელ ჰიდროსადგურებად ჩამოყალიბდა.

**„მცირე ჰესების პროექტის განხორციელება პანკისის ხეობის მოსახლეობას შემდეგ სარგებელს მოუტანს: მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, სხვა სპეციალისტებთან ერთად, დასაქმებული იქნება არანაკლებ 100 ადგილობრივი მოსახლე, ხოლო ჰიდროსადგურების ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, 50 მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება. კომპანია ასევე უზრუნველყოფს ახალგაზრდების გადამზადებას, რაც მათ სამომავლოდ სხვა ჰესებზე დასაქმების შესაძლებლობას მისცემს.**

**გარდა ამისა, ინვესტორი კომპანია ვალდებულებას იღებს, ხეობისა და ჰესის სიახლოვეს განლაგებული დასახლებების სასარგებლოდ, სოციალურ პროექტებს განახორციელებს. ამავე დროს, ინვესტიციას დააბანდებს ელექტროგადამცემ ქსელებში, რაც მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხს გააუმჯობესებს. ყოველივე დადებითად აისახება ხეობის სოფლებში მიკრო და მცირე ბიზნესის, მათ შორის, ტურისტული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებაზე“,** — აცხადებენ **ეკონომიკის სამინისტროში.**

უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე **ხასო ხანგოშვილი** დარწმუნებულია, რომ პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ჰესები აღარ აშენდება. მისი თქმით, ვინც პანკისში ჰესის მშენებლობის მომხრე იყო, ახლა ისიც დუმს, რადგან საკითხი ასე დადგა — ვინც ჰესების მშენებლობის მომხრეა, ის ხალხის მტერია.

**„ბატონმა მინისტრმა, ამით დახურა ეს საკითხი იმიტომ, რომ 90% ხეობაში ჰესის მშენებლობის მომხრე არ იქნება და მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უკვე დახურულია. განვითარებული პროცესების შემდეგ ჰესების მშენებლობის მომხრეთა რიცხვიც მნიშვნელოვნად შემცირდება. რა თქმა უნდა, ვიზიარებ და ყოველთვის ამას ვამბობდი, რომ სახელმწიფოს განვითარების, ეკონომიკური წინსვლის წყაროა ელექტროენერგია და თუკი სახელმწიფო ელექტრიფიკაციის გზას დაადგა, რომ ჩვენ დამოუკიდებლები ვიყოთ და ენერგია არ ვიყიდოთ, თუნდაც მტრული სახელმწიფოსგან, თავისთავად ცხადია, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა“,** — აღნიშნა **ხასო ხანგოშვილმა.**

ჰესების მშენებლობის საკითხი ამ ეტაპზე შეჩერებულია, თუმცა გამოძიება დაიწყო სოფელ ბირკიანში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. შსს-ში აცხადებენ, რომ ყველა, ვინც დაარღვია კანონი, დაისჯება. თუმცა გიორგი გახარიას უწყებას ულტიმატუმს უყენებს პანკისის მოსახლეობა. იმ შემთხვევაში, თუკი ვინმეს პასუხისგებაში მისცემენ, იგივე ან უარესი მოხდება.

**„ამდენი პოლიციელი და სპეცრაზმელი რატომ შემოიყვანეს, თუ ამბობენ, რომ თანახმა ვიყავით, ამდენი სპეცრაზმი და ტექნიკა რატომ შემოიყვანეს? გუშინ არ მოხდა კარგი ფაქტი, მაგრამ თუ დაიწყეს ადამიანების დაჭერა, არ გავჩერდებით. არ გაბედონ და არ დააკავონ არც ერთი“,** — აცხადებენ **ადგილობრივები.**

პანკისის ხეობაში განვითრებული მოვლენები დასტურია იმისა, რომ ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, თუმცა ენერგეტიკის ექსპერტი **პაატა ცინცაძე** ამბობს, რომ ეს მარტო საქართველოში არ ხდება და თავის დროზე ასე იყო ნორვეგიაშიც, სადაც მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი ხანი დასჭირდათ იმისთვის, რომ საზოგადოების დამოკიდებულება შეეცვალათ ჰესების მშენებლობის მიმართ.

**„დღეს ნორვეგიის 97% ენერგიისა დგას ჰიდროელექტროსადგურებზე. საქართველოში ჩვენ ერთადერთი რესურსი გვაქვს ჰიდროენერგია და მისი არგამოყენება არაფრით შეიძლება. საჭიროა ლაპარაკი იმაზე, როგორ გავაკეთოთ ეს და არა იმაზე, როგორ არ გავაკეთოთ. არავინ ამბობს იმას, რომ ეკოლოგიური პრობლემები არ უნდა გადაწყდეს, თუ ის არსებობს, არავინ ამბობს იმას, რომ მოსახლეობის ინტერესები არ უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგრამ ამას სჭირდება სერიოზული მუშაობა, ძალიან გეგმაზომიერი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს პრობლემა არის გადაწყვეტადი და საქართველოს მომავალი არის ჰიდროენერგეტიკა.**

**რაც შეეხება პანკისის ხეობაში მიმდინარე „ხადორი 3-ის“ ჰესის მშენებლობას, ეს არის 5-მეგავატიანი ჰესი, რომელიც არის დაახლოებით 20 მილიონი კილოვატ/საათი. ეს მთლიან მოხმარებაში ბევრს არაფერს წარმოადგენს ცალკე აღებულ ჰესად. მაგრამ თუ გვექნება ბევრი მცირე ჰესი, ასევე, დიდი ჰესები, ჩვენ შეგვიძლია ელექტროენერგიაზე ჩვენი მოთხოვნა სრულად დავაკმაყოფილოთ“,** — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას **პაატა ცინცაძემ.**

თავის მხრივ, პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **კახა კუჭავა** აცხადებს, რომ კომიტეტი აუცილებლად დაინტერესდება და მოიძიებს დამატებით ინფორმაციას, რამდენად საკმარისი იყო კომუნიკაცია, რომ მსგავსი რამის თავიდან აცილება მომხდარიყო.

**„ფაქტი ერთია, მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ აგრესიული პოზიცია დადასტურდა, რაც ძალადობაში გადაიზარდა. ეს აჩენს კითხვას, რამდენად იყო საკმარისი კომუნიკაციის თუნდაც ერთი წელი, რომ მსგავსი ფაქტი არ დამდგარიყო. ფაქტი ერთია, ქვეყანა იბრძვის, რომ ენერგოდამოუკიდებელი იყოს და არ ვიყოთ დამოკიდებული განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებზე.**

**თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება. რასაც აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას ის არის, თუ რამდენად სრულფასოვნად და ხარისხიანად შედგენილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი“,** — განაცხადა **კახა კუჭავამ.**

კითხვები აქვს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს. **ირაკლი სესიაშვილის** განცხადებით — **„მე არ მომწონს“, „ეს არ უნდა განხორციელდეს და მერე ქვა უნდა ვისროლო“, ასე სახელმწიფო წინ ვერასდროს წავა. მისი თქმით, გარკვეული ჯგუფების მხრიდან ადგილი ჰქონდა პროტესტის არასწორი ფორმით გამოხატვას, რამაც საბოლოო ჯამში, სპეცრაზმის ჩართვის აუცილებლობა გამოიწვია.**

**„თუ ვინმემ რამე კანონი დაარღვია, მას ამისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს. მოვუწოდებ ყველას, რომ ცხელ გულზე დასკვნებისგან და შეფასებებისგან თავი შეიკავონ. ამას სჭირდება გამოძიება და დადგენა, რას რა მოჰყვა. თუ ვსაუბრობთ, რომ გვინდა დემოკრატიული სახელმწიფო, დემოკრატიული სახელმწიფო მათ შორის გულისხმობს, რომ ეს უნდა იყოს სამართლებრივი სახელმწიფო. თუ ვინმემ რამე კანონი დაარღვია, მას ამისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს და დაისაჯოს კანონის შესაბამისად. მე თუ რამე არ მინდა, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ქვა უნდა გესროლოთ. არსებობს გონიერების ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება“,** — განაცხადა **ირაკლი სესიაშვილმა.**

პანკისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანოში 3 მაისს მოუსმენენ შს მინისტრს. **გიორგი გახარია** დეპუტატების წინაშე „მინისტრის საათის“ ფორმატში წარსდგება და მათ კითხვებს უპასუხებს. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის საათი დაგეგმილია, „ევროპულმა საქართველომ“ მოითხოვა გახარიას პარლამენტში მისვლა.

**„თუ „ევროპული საქართველოს“ რომელიმე ლიდერს დამატებით სურს ჩემი ნახვა, შეუძლიათ, დამპატიჟონ ყავაზე. არანაირი პრობლემა არც მე და არც ჩემი გუნდის არც ერთ წარმომადგენელს, იდგეს პარლამენტის ტრიბუნაზე, არა აქვს. პარლამენტში ბოლო თვეების განმავლობაში ვიყავი უკვე ოთხჯერ. „მინისტრის საათი“ დაგეგმილი მაქვს მაისის პირველ კვირაში. რა თქმა უნდა, მე ამ მოვალეობას შევასრულებ და მივალ პარლამენტში“,** — განაცხადა შს მინისტრმა **გიორგი გახარიამ.**

გიორგი გახარიასგან ამომწურავი ინფორმაციის მიღების მოლოდინი აქვს ვიცე-სპიკერს. **გია ვოლსკის** განმარტებით, საქმის ვითარებაში გარკვევისთვის გახარია პარლამენტში მივა და ფიქრობს, რომ საინტერესო განხილვა იქნება.

**„არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. თავიდან სულ 20 კაცი იყო შესული პანკისში და სპეცრაზმი არ მონაწილეობდა. შემდეგ, როცა აგრესია იყო თვალნათელი, მერე შევიდა სპეცრაზმი. მე მაინც ვფიქრობ, რომ დიპლომატიური რესურსი ამოწურული არ არის და მეტი კომუნიკაციაა საჭირო“,** — განაცხადა **გია ვოლსკიმ.**

გიგა ბოკერიას განცხადებით, უმძიმესი ჩავარდნის, უპასუხისმგებლობის, გაუაზრებლობის, არათანმიმდევრულობის, უძალობისა და უსამართლობის კომბინაციის შემდეგ კომიტეტის სხდომაზე შს და ეკონომიკის მინისტრები უნდა გამოცხადნენ და მარტივ კითხვებზე გასცენ პასუხები, რა გადაწყვეტილებები ჰქონდათ მიღებული და პროცესი ასე რატომ დაგეგმეს.

**„აუცილებელი იყო, ადგილი ასეთ შეტაკებას ჰქონოდა, რომ თავისი პოზიცია გადაეფიქრებინათ? რამხელა უპასუხისმგებლობაა ჯერ ასეთი მოქმედება და შემდეგ ფიქრი, რაც ზოგადად, ბიძინა ივანიშვილის გუნდს ახასიათებს. ყველაზე სახიფათო კომბინაცია — უძალობისა და უსამართლობის ამ ძალიან სახიფათო რეგიონშია და ორივეს დემონსტრირება გუშინ ხელისუფლების მიერ მოხდა. რატომ დადგნენ ამ ბეწვის ხიდზე? წლებია, ვაფრთხილებთ, რომ რეგიონში ვითარება ძალიან პრობლემატურია ბევრი თვალსაზრისით.**

**ხელისუფლება დემონსტრირებას ახდენს, რომ თანმიმდევრობა არა აქვს არც ჰესების საკითხში მაშინ, როცა ჰესების წინააღმდეგ კამპანიაში პიონერები იყვნენ. ეს რეგიონი მიტოვებულია და ხელისუფლება, როგორც კანონის უზენაესობის დამცველის ფუნქციას წლებია, ვერ და არ ასრულებს. ყველაზე ცუდია, როცა ჩვენს მოქალაქეებს და განსაკუთრებით ასეთ რეგიონში განცდა აქვთ, რომ ხელისუფლება თან სუსტია და თან უსამართლო“,** — განაცხადა **გიგა ბოკერიამ.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის **სალომე სამადაშვილის** განცხადებით, რაც პანკისში მოხდა, ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ჩატეხილი ხიდის გამოხატულებაა, რაშიც საკუთარი წვლილი მაჩალიკაშვილის დღემდე გამოუძიებელმა მკვლელობამ შეიტანა.

**„პანკისის ხეობაში გუშინ ვიხილეთ, რომ ერთი მხრივ, დაშავდნენ სამართალდამცველები და მეორე მხრივ, მოსახლეობა. აღმოჩნდა, რომ ჰესის მშენებლობა ვერ გაგრძელდება, ამიტომ, ჩემთვის საინტერესოა და ამ შეკითხვის დასმას ვაპირებ დღეს, კონკრეტულად რა ამოცანას ისახავდა ხელისუფლება გუშინდელი სპეცოპერაციის დაგეგმვის დროს“,** — აცხადებს **სალომე სამადაშვილი.**

**თამთა ქარჩავა**

## „ყველას პასუხი მოეთხოვება... თურნავა რა შუაშია საერთოდ?“

**არავის ეპატიება პოლიციელის წინააღმდეგ ასეთი აგრესიული ქმედებები,** — განაცხადა დედაქალაქის მერმა პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენების შეფასებისას. კალაძის თქმით, პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვისაც დანაშაული მიუძღვის.



**„ძალის რომელ გადამეტებაზე ვლაპარაკობთ, ის, რაც ვნახეთ, იქ კატეგორიულად მიუღებელია და დარწმუნებული ვარ, კანონის შესაბამისად ყველას პასუხი მოეთხოვება. სამწუხარო არის ის, რატომ მივედით ამ მდგომარეობამდე. ჩემი მინისტრობის დროს ბევრი პროექტი განვახორციელეთ პანკისის ხეობაში. იყო გაზიფიცირების სამუშაოები, ელექტრიფიცირება, ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება, იყო სოფლები, სადაც ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით პრობლემები იყო. ყოველთვის, როცა ჩავდიოდით და ამ პროექტებს ვახორციელებდით, ძმობის და მეგობრობის მეტი არაფერი ხდებოდა, სუფრის გაშლით დაწყებული, ძმაკაცობით დამთავრებული. შესაბამისად, ის განწყობა და დამოკიდებულება, რაც ვნახეთ, კატეგორიულად მიუღებელია და ცდება ყველაფერს. ყველა იმ ადამიანმა, ვისაც დანაშაული მიუძღვის, პასუხი უნდა აგოს. არავის ეპატიება პოლიციელის წინააღმდეგ ასეთი აგრესიული ქმედებები. შესაბამისად, კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ“,** — განაცხადა კალაძემ.

კითხვაზე — იკვეთება თუ არა ნათია თურნავას პასუხისმგებლობის საკითხი, რასაც ოპოზიცია ითხოვს, კალაძემ განაცხადა: **„თურნავა რა შუაშია საერთოდ?..“**

**შეიძლება „ქართული ოცნება“ არ მოგწონდეს, იყო ოპონენტი, მაგრამ არსებობს ჩარჩოები, რომელსაც არ უნდა გასცდე. პირველი — არსებობს ჩვენი სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ინტერესი. მე დავინახე ბევრი ექსპერტის, პოლიტიკოსის და ოპონენტის მხრიდან სახელმწიფოს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, რაც დამაზიანებელი და ძალიან საშიშია“,** — განაცხადა კალაძემ.

# რომელი ქვეყნის სამშენებლო კანონმდებლობით შენდება ცათამბჯენები ბათუმში?



**ბათუმში უკანონო მაღლივი საცხოვრებელი კორპუსებისა და სასტუმროების მშენებლობის ბუმია. ცენტრში სულ უფრო მცირდება ფართობები, სადაც უკვე შეუძლებელია ამ უკანონო მაღლივი შენობების „ჩაკვეხება“ სეისმოუსაფრთხოების ელემენტარული ნორმების დაცვით და ამ „ჩასაკვეხებელი“ ფართობების შემცირების შესაბამისად მაქსიმალურად იზრდება შენობათა სიმაღლეები მოსალოდნელი სეისმონგრევების კატასტროფული რისკებით. 100 მეტრი უკვე კარგა ხნის დალაშქრულია და წარმატებით უტევენ 200-მეტრიან სიმაღლეს. გვაქვს ინფორმაცია, რომ დამთავრების სტადიაშია ბათუმში ასაშენებელი 65-სართულიანი შენობის პროექტი!**

ამ დროს აშშ-ში — მხოლოდ 3, რუსეთში კი 2 საპროექტო ინსტიტუტია, რომლებსაც უფლება აქვთ, დამოუკიდებლად დააპროექტონ 100 მეტრზე მაღალი შენობები. უფრო მეტიც, ამ სიმაღლის შენობებს მსოფლიოში დამოუკიდებლად აპროექტებს და აშენებს მხოლოდ 7 სახელმწიფო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა კი კარგა ხანია გახდა მსოფლიოში მე-8 სახელმწიფო, რომელიც ავტონომიურად აპროექტებს და აშენებს 100 მეტრზე უფრო მაღალ შენობებს. გილოცავთ, აჭარლებო!

ასეთი მაღლივი მშენებლობა კარგია, რომ არა ერთი საჩოთირო შეკითხვა: რომელი ქვეყნის სამშენებლო კანონმდებლობით ვაშენებთ? ეს შეკითხვა ლეგიტიმურია იმის გამო, რომ 2004 წლის შემდეგ, როცა ქვეყანაში გავაუქმეთ სამშენებლო პოლიტიკის გამტარებელი მშენებლობის სამინისტრო და დავამკვიდრეთ წარმოუდგენელი ქაოსი, განუკითხაობა და უკანონობა, ძნელია გაარკვიოთ, აჭარაში ესა თუ ის მაღლივი შენობა რომელი ქვეყნის სამშენებლო კანონმდებლობით შენდება — ქართულით თუ უცხოურით?

ფაქტობრივად არც ერთით, არც მეორით და სამშენებლო კანონმდებლობაში დამკვიდრებულია აჭარული სეპარატიზმი, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ბათუმის მერია არ ემორჩილება საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებსა და მთავრობის დადგენილებებს. სამაგალითოდ მოვიყვანთ 3 ასეთ საბედისწერო დაუმორჩილებლობას:

**პირველი და ყველაზე დიდი საბედისწერო დაუმორჩილებლობა არის 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71 დადგენილებით კიდევ უფრო გაძლიერებული საკანონმდებლო-ნორმატიული აქტის „სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01.09)“-ის უგულებელყოფა, რომელიც 4 ურთულესი სეისმოუსაფრთხოების დამცავი სამუშაოს ჩატარების გარეშე 8-ბალიან სეისმურ ზონაში რკინაბეტონის კარკასული შენობების სართულიანობას ზღუდავს 12-მდე, ურიგელო კარკასული შენობების სართულიანობას კი — 7-მდე. ვინაიდან სეისმოუსაფრთხოების დაცვის ასეთი 4 ურთულესი სამუშაო საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა, 7-12 სართულიანზე უფრო მრავალსართულიანი რკინაბეტონის ურიგელო-კარკასული და კარკასული, აშენებული თუ ასაშენებელი, ყველა შენობა არის უკანონო და უდიდესი სეისმონგრევების საფრთხეების შემცველი!**

**მეორე დაუმორჩილებლობა არის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №409 დადგენილების შეუსრულებლობა. ამ დადგენილებით ფაქტობრივად აღდგენილია 2008 წელს გაუქმებული ბუნებრივი განათებულობისა და ინსოლაციის კანონი და შენობებს შორის დაშორება უნდა დაპროექტდეს ბუნებრივი განათებულობისა და ინსოლაციის სანიტარიული ნორმების დაცვის გათვალისწინებით, რაც აბსოლუტურად იგნორირებულია და საცხოვრებლებში ამკვიდრებს მძიმე დაავადებების წარმომშობ სანიტარიულ-ეკოლოგიურ გარემოს.**

**მესამე დაუმორჩილებლობა არის საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შეუსრულებლობა. ეს დადგენილება კი მშენებელს ავალდებულებს, მშენებლობის დაწყების წინ ჩაატაროს მეზობელი შენობების წინასწარი საკვლევი და გამაგრებითი სამუშაოები, რათა მშენებლობის მიმდინარეობის დროს არ დაზიანდეს მეზობელი შენობები და დაზიანების შემთხვევაში ზარალი 100%-ით უნდა აანაზღაუროს მშენებელმა, რაც ასევე აბსოლუტურად იგნორირებულია!**

სამწუხაროდ, მთელ აჭარასა და, განსაკუთრებით კი ბათუმში, ამ 3 დაუმორჩილებლობით გამოწვეული სასიკვდილო სეისმორისკები, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უკვე დამდგარი სანიტარიულ-ეკოლოგიური უბედურებები და ამ საცხოვრებლების ავარიული დაზიანებები ყოველდღიურად კატასტროფულად თავს ატყდება აჭარის მოსახლეობას. გამკითხავი, პასუხის გამცემი და პასუხისმგებელი კი არავინაა. განსაკუთრებით თვალში საცემია პირველი დაუმორჩილებლობის საბედისწერო შედეგები, როდესაც 7-12-სართულიანების ნაცვლად ბათუმში უკანონოდ ნაშენები 30-40 და მალე 60-70-სართულიანი შენობები უკონტროლოდ მიიწევს „სულ ზევით-ზევით, მაღლა და მაღლა!“

შვილო თორნიკე, სანამდე? დანიელ ჭონქაძის ცნობილი ნაწარმოების ტრაგიკული ფრაზის „შვილო ზურაბ, სანამდე?“ ანალოგიურად ამ სიტყვებით გვინდა მივმართოთ აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს თორნიკე რიჟვაძეს, რომელმაც ბათუმის უსაფრთხოებისა და იერსახის შენარჩუნებისათვის მებრძოლ ოპონენტებს ამ სიტყვებით მიმართა: „ჩვენ ვმოქმედებთ ძალიან მარტივი პრინციპით — ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის და არ ვაპირებთ, ამ ტიპის შემოტევების შედეგად გადაწყვეტილებები შევცვალოთ. ყველა გადაწყვეტილება იქნება კანონის შესაბამისი ამ ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე“.

ძაღლებად ჩათვლილი თავისი ოპონენტების მსგავსად ბატონი თორნიკე მეც, მის მამისტოლა კაცს, როგორც ოპონენტს, ალბათ, ძაღლად ჩამთვლის, ჩემს ზემოთ ნასაუბრებს კი ძაღლის ყეფად, მაგრამ მაინც გვინდა მივმართოთ მას:

ასეთი ულმერთო დარღვევებით აჭარაში დასტურს რომ აძლევთ ცათამბჯენების უკანონო მშენებლობებს, მაინც რა გინდათ, ზეცაში მიუახლოვდეთ ღმერთს? არ გეშინიათ ღმერთის რისხვის? ბაბილონის გოდოლის ისტორია წაგიკითხავთ? ბიბლიაში აპოკალიფსურ მიწისძვრებზე გსმენიათ რამე?

რაც შეეხება თქვენს განცხადებას, რომ „ყველა გადაწყვეტილება იქნება კანონის შესაბამისი“, თქვენ მალე მართლა მოგიწევთ კანონის შესაბამისად აჭარაში უკანონო ცათამბჯენების მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილების მიღება. მხედველობაში გვაქვს სეისმომედეგი მშენებლობის კანონის „პნ 01.01.09“ გამოყენებით ჩვენ მიერ სამივე დონის სასამართლოს მოგება და 12-სართულიანის ნაცვლად 32-სართულიანი 8 რკინაბეტონის კარკასული შენობისაგან შემდგარი კომპლექსის მშენებლობის შეჩერება მანამ, სანამ მშენებლობის პროექტი არ მოვა შესაბამისობაში ამ კანონთან. ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ, რომ პრეცედენტული სამართლის გამოყენებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მთელ საქართველოში, მათ შორის, აჭარაშიც!

აქვე გვინდა, გავაფრთხილოთ სამშენებლო კომპანიები, რომ სეისმომედეგი მშენებლობის ამ კანონის სრულფასოვნად ამოქმედებასთან ერთად საქართველოში მალე დაიწყება შენობების შემოწმებები სეისმომედეგობაზე და სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, რაც სავალდებულო გახდება დამთავრებული შენობების მიღება-ჩაბარების არა დღევანდელი ფიქტიური, არამედ ხვალინდელი ფაქტიური აქტების გაფორმების დროს!

ეს კი მოხდება მაშინ, როცა დღევანდელი დე ფაქტო მშენებლობის სამინისტრო, რომელსაც რატომღაც ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვეძახით, დე იურედაც გახდება მშენებლობის სამინისტრო. ამის შემდეგ დაიწყება 15 წლის წინათ მშენებლობის სამინისტროს გაუქმების გამო შეწყვეტილი სამშენებლო პოლიტიკის გატარება და საქართველოში დამთავრდება ენით აუწერელი, 15-წლიანი წარმოუდგენელი სამშენებლო ქაოსი, განუკითხაობა და კანონზე ძალადობა, რისი მაგალითიცაა თუნდაც ბათუმი თავისი უკანონო ცათამბჯენებით.




**ანზორ საკანდელიძე,**

**ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ თავმჯდომარე**

# თავდაცვის ძალები ახალი სპორტული ინვენტარით აღიჭურვა

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა სენაკში, მეორე ქვეით ბრიგადაში დაათვალიერა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, უწყების ხელმძღვანელმა ახლად გარემონტებული სპორტული კომპლექსი მოინახულა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს და აღჭურვილია უახლესი სპორტული ინვენტარით, სავარჯიშო ტრენაჟორებითა და საშხაპეებით. მას ერთდროულად 50 სამხედრო მოსამსახურის მიღება შეუძლია.**



ლევან იზორიამ ბაზაზე არსებული კალათბურთის დარბაზი და საცურაო აუზიც დაათვალიერა, სადაც თავდაცვის მინისტრის განკარგულებით, სამხედრო მოსამსახურეების შვილები უფასოდ ვარჯიშობენ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობების სამხედრო ბაზებზე არსებულ სპორტულ დარბაზებში თავდაცვის უწყების თანამშრომლების ბავშვებისთვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში წრეები ფუნქციონირებს, სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ, მიიღონ სპორტული გამოცდილება და გაიუმჯობესონ ფიზიკური მონაცემები.

თავდაცვის მინისტრის ინიციატივით, 2019 წელს თანამედროვე სპორტული დარბაზები უკვე გაიხსნა ქუთაისის III ქვეითი და ხონის VI საარტილერიო ბრიგადების, ასევე გორში I ქვეითი ბრიგადის და ვაზიანის IV მექანიზებული ბრიგადის ბაზებზე. სპორტული კომპლექსები ასევე, გაიხსნა ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში და სპეციალური ოპერაციების ძალებში. სპორტული კომპლექსები აღჭურვილია უახლესი სავარჯიშო ინვენტარით. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, სამხედრო მოსამსახურეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება უწყების ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქვედანაყოფებში სპორტული დარბაზების განახლება და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა სამხედროებში ფიზიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას და ქვედანაყოფებში სხვადასხვა სპორტული სახეობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

№ 82. ოთხშაბათი, 24 აპრილი, 2019 წელი.

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიში გუშინ, 22 აპრილს, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს. სუს-ის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ლილუაშვილმა ღია სხდომაზე ანგარიშის საჯარო ნაწილი წარადგინა მხოლოდ. ამის შემდეგ სხდომა დაიხურა.**

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, სახელმწიფოსთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა რუსული ოკუპაცია, საერთაშორისო ტერორიზმი, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობა, კორუფცია და სამოხელეო დანაშაული.**




# როგორ „გვჭამს“ ტერორიზმი, სეპარატიზმი, კორუფცია, ოკუპაცია...

## სახელმწიფო უსაფრთხოება 2018 წელს

### ოკუპირებული ტერიტორიები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფოსთვის ძირითად გამოწვევად რჩება ოკუპირებული ტერიტორიების მზარდი მილიტარიზაცია, ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, მოსახლეობისათვის თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა და სხვა.

ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ რუსეთის ფედერაციის მიდგომები არ შეცვლილა და კვლავ გამოიხატებოდა არაფორმალური ანექსიის პოლიტიკის გატარებაში.

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ე.წ. პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები სრულად კონტროლდებოდა საოკუპაციო ძალის მიერ
- ოკუპირებული რეგიონები ფინანსურად კვლავაც დამოკიდებულები არიან რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბიუჯეტზე




გრძელდებოდა რუსეთის მოქალაქეობის ფლობის წახალისება და მისი გამარტივებული წესით მიღების მექანიზმების შემუშავება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბორდერიზაციის უკანონო პროცესის პარალელურად, საანგარიშო პერიოდში საოკუპაციო ძალები აგრძელებდნენ ასევე ადგილობრივი მოსახლეობის უკანონოდ დაკავების პროცესს. ეს პროცესი რიცხვებში შემდეგნაირად აისახა — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით — 100, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 2018 წელს უკანონო დაკავების 28 ფაქტი იქნა რეგისტრირებული.

### ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ანგარიშის თანახმად, 2018 წელს საქართველოსთვის ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, ძირითად გამოწვევას ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებები წარმოადგენდნენ. თუმცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრებ ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა და გავლენა გასული ერთი წლის განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდა.

- ტერორისტული ორგანიზაციის იდეების ადგილობრივ მხარდამჭერებს არა აქვთ ორგანიზებულად და შეთანხმებულად მოქმედების შესაძლებლობა და არ ჰყავთ ლიდერი;
- წარსულში მოწყვლადი ახალგაზრდები აღარ ინტერესდებიან ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიით;
- „ისლამური სახელმწიფოს“ ადგილობრივი მხარდამჭერები მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს განიცდიან.

ანგარიშში აღნიშნულია ასევე, რომ შარშან სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს რამდენიმე მოქალაქე დაიღუპა, 20-ზე მეტი იბრძოდა ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის თანახმად, 2018 წელს სირიასა და ერაყში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრების ფაქტები არ დაფიქსირებულა და მნიშვნელოვნად შემცირდა ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენების მცდელობის ფაქტები.

**„მეთვალყურეობას ექვემდებარება მარშრუტები და არხები, რომლებიც, შესაძლოა, ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად მოსახვედრად იქნეს გამოყენებული. ამ მიმართულებით საქართველო არ განეკუთვნება მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს. შესაბამისად, ნებისმიერ ბრალდებას, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად გადაადგილების თვალსაზრისით უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ან/და ტერორიზმთან დაკავშირებული პირების განსაკუთრებული აქტივობის შესახებ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განიხილავს, როგორც მიზანმიმართულ პროვოკაციას“,** — აღნიშნულია ანგარიშში.

### კონტრდაზვერვითი საქმიანობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გასული, 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში გავლენის გაძლიერებით დაინტერესებული ქვეყნები საკუთარი მიზნების მისაღწევად „ჰიბრიდული ომის“ მეთოდებს მიმართავდნენ:

- „ჰიბრიდული ომის“ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, წარმოადგენდა დეზინფორმაციული კამპანია;
- ყალბი ახალი ამბებით ფაქტების დამახინჯებითა და ისტორიის გაყალბებით მიზანმიმართულად ხდებოდა მოსახლეობის პოლარიზაცია, მცდარი შეხედულებებისა და შიშის გავრცელება, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშში აღნიშნულია ისიც, რომ უცხო ქვეყნები და მათი სპეცსამსახურები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ კიბერსაშუალებებს.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად გამოვლინდა, რომ საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული რუსული სამხედრო ძალების მხრიდან ხდებოდა ფარული ოპერაციების ჩასატარებლად ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენების მცდელობები. ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, შარშან გამოვლინდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების გარკვეული ქმედებები საქართველოს საგარეო კურსის შეცვლის მიმართულებით.

### კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გასული, 2018 წლის ანგარიშის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 71 საქმეზე. მათ შორის, ქრთამის აღების — 21, ქრთამის მიცემის — 3, თაღლითობის —12,სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების — 4, მითვისების ან გაფლანგვის — 4, სამსახურებრივი გულგრილობის — 13, სამსახურებრივი სიყალბის — 8 და სხვა ცალკეულ დანაშაულებზე.

### რატომ დაიხურა საკომიტეტო მოსმენა?

**„შეკითხვები და მასზე გაცემული პასუხები ყველა შემთხვევაში იქნება მტრისთვის საინტერესო“,** — ეს იყო მომხსენებლის არგუმენტი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებული სხდომის დასახურად. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილის გრიგოლ ლილუაშვილის არგუმენტი საკომიტეტო მოსმენაზე მყოფმა უმრავლესობის წევრებმა კენჭისყრის შედეგებში ასახეს. არ იქნა გათვალისწინებული წინადადებაც სხდომის მხოლოდ იმ ნაწილის დახურვის შესახებ, რომელზეც საიდუმლო ინფორმაციაზე იქნებოდა საუბარი. შესაბამისად, საზოგადოებისთვის დაფარული დარჩა პასუხები ისეთ შეკითხვებზე, როგორებიცაა:

- აადვილებს თუ ართულებს პანკისის ხეობაში 21 აპრილს განვითარებული მოვლენები რუსეთის ამოცანების, კერძოდ, კონფლიქტისა და დესტაბილიზაციის კერების გაჩენის შესრულებას?
- როგორ მოხდა, რომ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 21 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ქრთამის აღებაზე?
- მიმდინარეობს თუ არა უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ყოფილი მოდგილის სოსო გოგაშვილისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის კორუფციასთან კავშირის საქმეების გამოძიება?
- რამდენად ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პოლიტიკური ოპონენტების დევნას?
- ერევა თუ არა სუს-ი საარჩევნო პროცესებში?
- წარმოებს თუ არა კონტრდაზვერვითი საქმიანობა ოკუპანტი სახელმწიფოს მიმართ ჯაშუშური საქმიანობის გამო და რატომ არ არის არავინ დაკავებული ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის?

### აგენტურულ საქმიანობასთან დაკავშირებული საქმის წარმოება

სხდომის დახურვის მიუხედავად, ერთ-ერთი საკითხი, რომელზე განმარტებებიც გრიგოლ ლილუაშვილს მედიისთვის მაინც მოუხდა, აგენტურულ ქსელს შეეხებოდა. მისი განმარტებით, აგენტურულ საქმიანობასთან დაკავშირებით საქმის წარმოება 169 პირზე მიმდინარეობს, რომელთა შორის 37 კრიტიკულად მნიშვნელოვანი პირია. მათი ნაწილი რუსეთის ინტერესებს ემსახურება.

**„მთავარი დაკავება არ არის — შეიძლება მათი განეიტრალება. მთავარია, ძირგამომთხრელი საქმიანობის და ქვეყნის ინტერესების დაზიანების საშუალება არ მივცეთ. ხშირ შემთხვევაში, სპეცსამსახურები არა გაძევების, არამედ გადმობირების მექანიზმებსაც იყენებენ. არსებობს უამრავი მექანიზმი, რაც საკმაოდ სპეციფიკური თემაა“,** — განუცხადა ჟურნალისტებს გრიგოლ ლილუაშვილმა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიში ზოგადად მაღალპროფესიულ დოკუმენტად შეაფასა:

**„ჯამში, მე შემიძლია გითხრათ, რომ აშკარაა ამ უწყებაში პროფესიონალიზმის ზრდა ყველა მიმართულებით. უწყება ხედავს პრობლემებს და გამოწვევებს, იგივე ტერორიზმთან ბრძოლა, იგივე კონტრდაზვერვა 21-ე საუკუნეში არ არის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს გამოწვევა, ამიტომ იქ, სადაც ჩვენი ქვეყანა აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პარტნიორად, უკვე ვხვდებით, რომ ეს უწყება ნამდვილად მუშაობს“,** — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

**ნონა მჭედლიშვილი**

# გაუძლებს შოუმენი უკრაინულ-რუსულ ჯოჯოხეთს?!

**იცნობდეთ!**

# უკრაინის ახალ პრეზიდენტს „ტრამპის ეფექტი“ ელის



**მაშ ასე, უკრაინას ახალი პრეზიდენტი ჰყავს — კომიკოსი და მსახიობი ვლადიმერ ზელენსკი.**

მისი დამანგრეველი გამარჯვების მიზეზი გახდა ის, რომ უკრაინელი საზოგადოება ნათლად დარწმუნდა იმაში, რომ დღეს არსებული პოლიტიკური სისტემის რეფორმა შეუძლებელია და ის უნდა დაინგრეს.

უნდობლობამ მიაღწია ისეთ მაღალ წერტილს, რომ უკვე ძირმომპალი სისტემის დასანგრევად ბულდოზერის როლის შესრულება უკრაინელმა ამომრჩეველმა მიანდო მსახიობს და შოუმენს, რომელიც ჰპირდება, რომ ყველაფერს გაასწორებს მიწასთან, და ააშენებს „ახალ სახლს, სადაც ცხოვრება იქნება თბილი და მყუდრო ყველასთვის“.

პეტრო პოროშენკო, რომელიც საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში უკრაინელებს „ახლებურად ცხოვრებას“ დაჰპირდა, თავისი უფლებამოსილება ასეთი არქაული ლოზუნგით დაასრულა — „ჯარი, ენა, რწმენა“.

თუმცა, ერთია არჩევნებში მოგება, მეორე კი — ზელენსკის გაცემული დაპირებების შესრულება. კერძოდ, ერთ-ერთი ეხება მშვიდობის დამყარებას ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

ზელენსკის თქმით, ის უარს იტყვის კონფლიქტის დარეგულირების უკვე არსებულ მინსკის ფორმატზე და აშშ-ის და ბრიტანეთს მასთან შეერთებას შესთავაზებს. ასევე ახალი პრეზიდენტი მხარს უჭერს აშშ-ის წარმომადგენლის კურტ უოლკერის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის შექმნას და კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანას.

მისი თქმით, დონბასში მშვიდობის გასაღები რუსეთში დევს, შესაბამისად, ის მზადაა კრემლთან მოსალაპარაკებლად.

თუმცა, გაურკვეველია, როგორ შეუწყობს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას აშშ-ის და ბრიტანეთის მოლაპარაკებების ფორმატში ჩართვა, მაშინ, როდესაც მათი ურთიერთობები მოსკოვთან სავსეა დაძაბულობით და უნდობლობით? შეიძლება პირიქითაც მოხვდეს — ვაშინგტონის და ლონდონის წარმომადგენლების გამოჩენა მოლაპარაკებების მაგიდასთან გაართულებს კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღებას.

რთულად გამოიყურება დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანის საკითხიც, რადგანაც ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციით, რომელშიც, როგორც ცნობილია, რუსეთს აქვს ვეტოს უფლება.

მშვიდობის დამყარება იყო ზელენსკის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება, რადგან უკრაინელები ძალიან დაიღალნენ ომისგან. სწორედ „მშვიდობის პარტიის“ წევრად თავის წარმოჩენით მან ხმების დიდი ნაწილის დამატება შეძლო. ეს მაშინ როდესაც, პოროშენკო გამოდიოდა უფრო რადიკალური რიტორიკით, თუმცა, მას ვერ დაერწმუნებინა უკრაინელები იმაში, რომ ცოტა ხანში რუსული ტანკები კიევის მიმართულებით დაიძვრებოდა.

ზელენსკის კიდევ ერთი თეზისი ეხება ურთიერთობებს ევროკავშირთან და ნატოსთან. ის აცხადებს, რომ ამ ორ ორგანიზაციაში უკრაინის შესვლის მომხრეა, თუმცა, ეს საკითხი ქვეყნის მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს.

**„ამ საკითხებზე უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი და უკრაინელმა ხალხმა თავად გადაწყვიტოს, სად შევიდეს და სად არა. ევროკავშირთან დაკავშირებით ყველაფერი ასე თუ ისე გასაგებია, რადგანაც დღეს უკრაინაში ძალიან ძნელია, იყო ევროკავშირში შესვლის წინააღმდეგი, მაგრამ ნატოზე ბევრი კითხვა არსებობს. მთელი ეს წლები მოსკოვი ამბობს, რომ არ დაუშვებს უკრაინის შესვლას ალიანსში და გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ გამორიცხოს ამის შესაძლებლობა,“** — ამბობდა მომავალი პრეზიდენტი.

მისი თქმით, კრემლს გააჩნია დიდი გავლენა დონბასელ სეპარატისტებზე, ამიტომ ის გააკეთებს ყველაფერს, რომ კონფლიქტის დარეგულირება ნატოში შესვლაზე უარის თქმას დაუკავშიროს.

ამ სიტუაციაში მთავარი კითხვაა რამდენად მზადაა უკრაინული საზოგადოება და ახალარჩეული პრეზიდენტი რუსეთთან ამ ტიპის კომპრომისზე წასასვლელად.

თუმცა, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი თემა დღევანდელ უკრაინაში არის ეკონომიკა. ამ მხრივ ზელენსკის გააჩნია მოქმედებების სტანდარტული ლიბერალური ხერხები.

კერძოდ, მისი ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეზისია „ნულოვანი დეკლარაცია“, რომელიც გულისხმობს კაპიტალების ლეგალიზაციას ბიუჯეტში თანხის მხოლოდ 5%-ის გადახდის გზით.

ასევე ის საუბრობს იაფ დაკრედიტებაზე და ინვესტორების მოზიდვაზე — პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ ის არ ამბობს, რატომ უნდა მოვიდნენ ინვესტორები მაინცდამაინც უკრაინაში.

ზელენსკის დაპირება კორუფციის დამარცხების და ძალოვანი სტრუქტურების ეკონომიკურ პროცესებში ჩაურევლობის თაობაზე არაა საკმარისი არგუმენტი იმისთვის, რომ უცხოელი ინვესტორები დიდი რაოდენობით შემოვიდნენ საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში.

კიდევ ერთი პრობლემა იქნება ურთიერთობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან — ზელენსკი ვერ შეძლებს სსფ-ს რეკომენდაციების იგნორირებას, თუმცა, მას გაუჭირდება ფონდის მიერ წამოყენებული მტკივნეული ინიციატივების რეალიზება და მათი აუცილებლობის ახსნა მოსახლეობისთვის.

თუმცა, ყველაზე დიდი გამოწვევა ახალი პრეზიდენტისთვის იქნება ის, რასაც ვერ მოერია ვერც ერთი უკრაინელი პოლიტიკოსი — ქვეყნის „დეოლიგარქიზაცია“. როგორ უნდა გამოიყვანოს მან ქვეყანა ოლიგარქების გავლენისგან, რომელიც სპობს უკრაინის ნორმალური განვითარების მცირე შანსსაც კი?

პრობლემა იმაშიცაა, რომ ამ საკითხზე ზელენსკი საუბრობს მეტისმეტად ზოგადად, კონკრეტიკის გარეშე. მისი თეზისები ამ თემაზე უფრო წააგავს პუბლიცისტურ სტატიას, რომლის ავტორი ნაკლებად ერკვევა ეკონომიკაში.

ფაქტობრივად, ზელენსკის ეკონომიკური სტრატეგია არის მხოლოდ კეთილი სურვილების კრებული, მეტი არაფერი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მომავალ პრეზიდენტს მხარს უჭერს უკრაინის ერთ-ერთი უძლიერესი ოლიგარქი იგორ კოლომოისკი, ძნელი სათქმელია, რამდენად შეძლებს ის უკრაინის ამ 30-წლიანი თავის ტკივილის მორჩენას.

ზელენსკი, როგორც პრეზიდენტი, არის საკმაოდ სერიოზული პრობლემა კრემლისთვის — პირველ რიგში იმიტომ, რომ მას მხარს უჭერს აღმოსავლეთ უკრაინა და ქვეყნის რუსულენოვანი მოსახლეობა, შესაბამისად მასზე ნაციონალისტის იარლიყის მიწებება საკმაოდ რთულია.

ამიტომაც, კრემლს მოუწევს ახალი მიმართულებების მოძიება კიევთან საინფორმაციო ომისთვის.

რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული მოსკოვს და კიევს შორის ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობა — თუმცა ამისთვის არც პუტინია მზად და არც ზელენსკი. უკრაინის პრეზიდენტისთვის ეს უფრო რთული ამოცანაა, რადგანაც ნებისმიერი საეჭვო დათმობა გახდება მისი სახელმწიფო ღალატში დადანაშაულების საბაბი.

მეტიც, შესაძლებელია, ჩვენ დავინახოთ „ტრამპის ეფექტის“ უკრაინული ვერსია — იმის დასამტკიცებლად, რომ ის არ არის პრორუსი პრეზიდენტი, ზელენსკი მაქსიმალურად გაამკაცრებს რიტორიკას კრემლის მიმართ.

EADAILY.COM

# აჭარას ბელარუსიდან ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები სტუმრობენ

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით წამყვანი ბელარუსული ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებს ეცნობიან. ისინი შეხვედრებს მართავენ ქართველ კოლეგებთან და ურთიერთანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.**

ინფოტურის ფარგლებში ბელარუსმა სტუმრებმა უკვე დაათვალიერეს ბათუმის ტურისტული ღირსშესანიშნაოებები, სასტუმრო ინფრასტრუქტურა და ბოტანიკური ბაღი. დღეს, ისინი ქედის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს მოინახულებენ და საოჯახო ღვინის მარანს ეწვევიან, სადაც ქართულ სამზარეულოსა და ადგილობრივ ღვინოს დააგემოვნებენ.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ბელარუსში მარკეტინგულ კამპანიებს აქტიურად ანხორციელებს. წლის განმავლობაში ორგანიზებას უწევს ინფო და პრესტურებს, რომლის ფარგლებშიც ბელარუსი ჟურნალისტები აჭარის შესახებ საინტერესო რეპორტაჟებს ამზადებენ, ტურისტული კომპანიები კი ქართულ კომპანიებთან ერთად რეგიონში ბელარუსი ტურისტების შემოყვანას უზრუნველყოფენ. ჯამში, ბოლო ორ წელში, დეპარტამენტის მოწვევით ყველა სამიზნე ქვეყნებიდან აჭარას 1000-ზე მეტი ჟურნალისტი და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი სტუმრობდა.



# მთაწმინდის პანთეონთან მისასვლელ გზაზე რიყის ქვაფენილი ბაზალტით შეიცვლება



**მთაწმინდის გამგეობამ, პანთეონისა და მამა დავითის მონასტერთან მისასვლელი გზის ნაწილის რეაბილიტაცია დაიწყო. მიმდინარე სამუშაოებს რაიონის გამგებელი დავით კირკიტაძე გაეცნო.**

პროექტი ჭონქაძის ქუჩის კვეთიდან, მთაწმინდისა და ყიფიანის ქუჩებზე სავალი გზის რამდენიმე მონაკვეთს მოიცავს, სადაც არსებული დაზიანებული რიყის ქვის საფარი ბაზალტის ქვაფენილით ჩანაცვლდება.

საგზაო ინფარსტრუქტურა 1300 კვ.მ ფართობზე მოწესრიგდება. ტროტუარების გასწვრივ 400 გრძივი მეტრი ბორდიური მოეწყობა.

საგზაო სამუშაოები, რომელსაც კომპანია „ლატი+“ ახორციელებს, ზაფხულში დასრულდება. პროექტის ღირებულება 240 000 ლარია.

სუმო

# მედლები ტალინიდან

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ტალინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის პირველი საშეჯიბრო დღე, რომელიც 21-წლამდე ასაკის მებრძოლებს დაეთმო, სამივე სინჯის თითო მედლით დაასრულა.**

„ოქრო“ ჩვენმა ბიჭებმა გუნდურ ტურნირში მოიპოვეს, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს რა იტალიის (3:0), პოლონეთისა (2:1) და უკრაინის (2:1) ნაკრებები.

ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა მძიმე (+115 კგ) წონაში ევროპის მოქმედი ჩემპიონი 18-წლამდელთა შორის, ზურა წიქორაძე, „ბრინჯაო“ კი ამავე წონაში ბადრი ხატისკაცმა დაისაკუთრა.

სამწუხაროდ, ხელი მოეცარათ 85 კგ-ში მოასპარეზე დავით კაცაძეს და ნაკრების დებიუტანტ დავით ხარებავას (-100 კგ), რომელთაც ორ-ორი შეხვედრა დათმეს.

საპატიო კვარცხლბეკს მიღმა დარჩნენ, ასევე, აბსოლუტურ (იგივე თავისუფალ) წონაში გამოსული გიორგი ბურჯალიანი და ბადრი ხატისკაცი.

ევროპის ჩემპიონატის მეორე საშეჯიბრო დღეს 23-წლამდე ასაკის სუმოისტებმა ჩვენი ქვეყნის მონაგარს 4 მედალი შეჰმატეს: 3 –პირად ბრძოლებში, ერთი კი – გუნდურში.




დღე ძალიან კარგად დაიწყო, რადგან მძიმე (+115 კგ) წონაში ლაშა ჯელაძემ და გიორგი ფარადაშვილმა ერთი ამოსუნთქვით გაიარეს ყველა ეტაპი და საღამოს პროგრამისთვის ქართული ფინალი დაგვიბევეს, სადაც უკომპრომისო ბრძოლა აღარ გამართულა – ჯელაძემ მარტივად მოიგო იორიკირით და ოქროს მედალს დაეუფლა, „ვერცხლს“ კი ფარადაშვილი დასჯერდა.

ლაშას და გიორგის კიდევ ერთხელ მოუწიათ ერთმანეთის პირისპირ დადგომა დოჰიოზე აბსოლუტურ (იგივე თავისუფალ) წონაში, ოღონდ „ბრინჯაოს“ ფინალში. აქაც ჯელაძემ იმარჯვა (ისევ იორიკირით) და ბრინჯაოს სინჯის მედალიც მიამატა თავის მონაგარს.

სამწუხაროდ, სხვა წონით კატეგორიებში ჩვენმა ბიჭებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. მესამე საპრიზო ადგილთან ყველაზე ახლოს დავით ხარებავა იყო 100 კგ-ში, თუმცა, მან გადამწყვეტი შერკინება რუს მეტოქესთან ოშიდაშით დათმო და უმედლოდ დარჩა.

ამავე წონაში გამოდიოდა გელა ბურჯანაძე, რომელიც საწყის ეტაპზე იტალიელ მეტოქეს ოშიტაოშით გაუსწორდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი ბრძოლა წააგო პოლონელ და რუს მებრძოლებთან და პოდიუმთან მიახლოების საშუალება აღარ მიეცა.

85 კგ-მდე წონით კატეგორიაში (ისევე როგორც 21-წლამდელებში) კვლავ ორივე ორთაბრძოლა წააგო დავით კაცაძემ, 70 კგ-მდე წონაში კი კიდევ ერთი დებიუტანტი, გიორგი გახოკიძე წარსდგა ჩვენი ქვეყნის სახელით, რომელმაც 3-დან მხოლოდ 1 ორთაბრძოლა მოიგო და მასაც არ მიეცა პრიზიორობის შანსი.

რაც შეეხება გუნდურ პაექრობებს, აქ ჩვენი ქვეყნის გუნდში ჯელაძე-ფარადაშვილის წყვილს ბადრი ხატისკაცი დაემატა და მათ პირველი ეტაპი საკმაოდ დამაჯერებლად გადალახეს, მშრალად მოუგეს რა პოლონეთის ნაკრებს – 3:0. ნახევარფინალში უკრაინის ნაკრებს დაუპირისპირდით და ანგარიში 1:1 იყო, როდესაც გადამწყვეტ შერკინებაში ბადრი ხატისკაცის პირისპირ უკრაინის სახელით მებრძოლი, წარმოშობით ქართველი ვაჟა დაიაური დადგა. თავიდან უპირატესობას დაიაური ფლობდა, თუმცა, ხატისკაცმა მოახერხა რთული სიტუაციიდან გამოსვლა, მეტოქე ტავარას მიაბჯინა და იორიტაოშის ილეთს ასრულებდა, მაგრამ ამ დროს ტანმორჩილმა დაიაურმა ულამაზესი უტჩარით შემოატრიალა და ძირს დასცა ქართველი ფალავანი. ჩვენი გუნდი 1:2 დამარცხდა და ფინალის საგზური უკრაინამ მოიპოვა. მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლში ჩვენმა ბიჭებმა ესტონელებს 2:1 სძლიეს და ბრინჯაოს მედლები ირგუნეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო მხარე, თანაც ოძეკი ბარუტოს სამშობლოში! ყველაფრის დაგვირგვინებას წარმოადგენდა ოქროსმედალოსან ლაშა ჯელაძის პატივსაცემად საქართველოს ძველი ჰიმნის „დიდების“ აჟღერება.

ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ თენგიზ რუხაძის სრულიად სამართლიანი მოთხოვნით ძველი ჰიმნი შეწყვიტეს, თუმცა, სანაცვლოდ მასპინძლებმა ამჟამინდელი ჰიმნის ჩართვა ველარ შეძლეს და ქართველებს შეურაცხყოფილებს მოუწიათ კვარცხლბეკის დატოვება...

**კობა კობახიძე**

ჭადრაკი

# საგზურიც საქმეა

**მართალია, ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა უმედლოდ დაასრულეს ანტალიაში გამართული ევროპის საიუბილეო – მე-20 ჩემპიონატი, მაგრამ მსოფლიოს თასის ერთ საგზურს მაინც დაეუფლნენ.**

ეს 2017 წლის კონტინენტური ფორუმის ტრიუმფატორმა ნანა ძაგნიძემ მოახერხა, რომელმაც 7,5 ქულით მეექვსე – მეთოთხმეტე ადგილები გაიყო, უკეთესი კოეფიციენტით კი მეათე პოზიციაზე გავიდა.

სულ თურქულ კურორტზე 32 ქვეყნის 130 წარმომადგენელი შეიკრიბა, მათ შორის რვა – ჩვენი თანამემამულე, ხოლო საპრიზო ფონდი 60 000 ევრო გახლდათ, საიდანაც 10 000 ძველი სამყაროს ახალ გვირგვინოსან ალინა კაშლინსკაიას (რუსეთი) ერგო. აღსანიშნავია, რომ ასევე 8-8 ქულა მოაგროვეს მეორე და მესამე პრიზიორებმა – ფრანგმა მარი სებაგმა და გერმანელმა ელიზაბეტ პეტცმა, მაგრამ



უკეთესი დამატებითი მაჩვენებლები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს აღმოაჩნდა და ოქროს მედალიც მას გადაეცა.

**ბეჟან დოლიძე**

ჰოკეი

# არის პირველი მოგება!

**ჩრდილოეთკორეელებთან მარცხიანი სასტარტო მატჩიდან საქართველოს ჰოკეისტთა ეროვნულმა ნაკრებმა სათანადო დასკვნები გამოიტანა და მეხიკოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის „B“ დივიზიონის მეორე შეხვედრა მექსიკელებს მძაფრ ბრძოლაში 3:2 მოუგო.**

მასპინძლებს განსაკუთრებული პრობლემები როლანდ სვანიძის გუნდის ლიდერმა ალექსანდრე ვასილჩენკომ შეუქმნა, რომელმაც „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა.

დღეს „ჯვაროსნები“ ახალ ზელანდიას ეთამაშებიან.

**გიორგი შოთაძე**



კალათბურთი

# სურვილი სურვილად დარჩა

**როგორც მოსალოდნელი იყო, გოგა ბითაძის „ბუდუჩნოსტისთვის“ ჯოჯოხეთად იქცა ბელგრადში გამართული ადრიატიკის საკალათბურთო ლიგის გადამწყვეტი ფინალური მატჩი „ცრვენა ზვეზდასთან“ – 54:97 (სერიის საბოლოო ანგარიში – 2:3).**

მონტენეგროელთათვის მონასტერი შეხვედრის დაწყებამდე აირია – ბურთის მიმწოდებელ ბიჭუნასთან თამაშისწინა გახურებისას სტუმართა მონაწილეობით მომხდარ კონფლიქტს სარბიელზე ისედაც ეგზალტირებული სერბი ქომაგების შეჭრა მოჰყვა, რის გამოც სატიტულო (როგორც გაირკვა, უთანასწორო) ბრძოლა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო.



ეტყობა, პოდგორიცელთა ფსიქოლოგიაზე აღნიშნულმა ფაქტმაც დამთრგუნველად იმოქმედა, თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იასმინ რეპეშას შეგირდთა მიერ მრისხანე მეტოქესთან წინა ორი საშინაო გამოცდის წარმატებით ჩაბარება და სერიაში ანგარიშის გათანაბრება შესაძლებლობათა მაქსიმუმს წარმოადგენდა, რადგან ექსიუგოსლავური გრანდი, მით უმეტეს – საკუთარ დარბაზში – ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, ობიექტურად გაცილებით ძლიერი ანსამბლი გახლავთ.

რაც შეეხება ქართველ ლეგიონერს, მან სეზონი 7-ქულიანი და 3-მოხსნიანი პირადი მონაგრით დახურა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# ბეილს განაჩენი გამოუტანეს

**„რეალი“ ზაფხულში გარეთ ბეილის გასხვისებას აპირებს. „სამეფო კლუბში“ ეს გადაწყვეტილება უკვე მიიღეს, რადგან ფეხბურთელს ქომაგებთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა.**

„სანტიაგო ბერნაბეუს“ პუბლიკამ „ბილბაოსთან“ მატჩის დროს უელსელს დაუსტვინა და ცხადია, რომ მისი მადრიდში დარჩენა თითქმის გამორიცხულია.

Marca-ს ცნობით, „ბლანკოსის“ მენეჯმენტი ბეილის გაყიდვას ყველანაირად შეეცდება, მაგრამ თუ სასურველი წინადადება ვერ მიიღო, მაშინ გაანათხოვრებს, ამის ერთ-ერთი მიზეზი კი გარეთის მაღალი ხელფასია – ის გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა და სეზონში 17 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.



აღსანიშნავია ისიც, რომ ზინედინ ზიდანი ბრიტანელ ვარსკვლავს ძირითადი შემადგენლობის წევრად არ განიხილავს. შეგახსენებთ, რომ ბეილი „რეალს“ 2013 წლის ზაფხულში ლონდონის „ტოტენჰემიდან“ შეუერთდა და ამ ეტაპზე სწორედ მისი ინგლისში დაბრუნებაა ყველაზე რეალური.

**მანუჩარ გიორგაძე**

შთაბეჭდილება

# აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს

**ახალი კაცის გაცნობა ახალი წიგნის წაკითხვააო, ნათქვამია.**

ეს ფრთიანი გამოთქმა მე ორმაგად ამიხდა: კაცი გავიცანი და მისი დაწერილი წიგნიც წავიკითხე...

ანზორ ჯაფარიძე თბილისელია, საბურთალოელი, წარმოშობით კი ახატელელია — არის ასეთი მშვენიერი სოფელი თელავის რაიონში.

უმალ იმით გამაკვირვა, რომ ეს კერკეტი, გრუზა ვაჟკაცი, ოთხმოცი წლისა მოყრილა. თუმცა ასეთი უბერებელი კაცები რა ისეთი გასაკვირია ჩვენში?..

მისი მთავარი თვისებაა ის, რაც პიროვნებას ერისკაცად აქცევს: როცა ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, სწორედ რომ მისი საფიქრალ-სადარდებელია, რადგან ის არის ამ ქვეყნის არა უბრალოდ ერთი გვარ-სახელი, არამედ ბატონ-პატრონი და მოზარე.

როგორც მოგახსენეთ, ჯერ თავისი გამორჩეული სახიერებით მიიქცია ყურადღება, მერე სიტყვის სიღრმითა და შინაარსით, იმით, რომ თავის თავს მხოლოდ ერის სხეულის ნაწილად ხედავს. ამაში კიდევ უფრო დამაკვალიანა ანზორის წიგნმა-ბროშურამ „პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა, სუყველას თქმა უნდა?!“, რომელიც დამშვიდობებისას მიძღვნა.




რაკილა ავტორის პიროვნებით უკვე შემზადებული ვიყავი, თამამად გადავშალე წიგნაკი. ისემც კარგი დაგემართოთ! და ახლა მინდა, გაზეთის მკითხველსაც გავუზიარო შთაბეჭდილება, რადგან ის სწორედ რომ გასაზიარებელია სხვათათვის.

მაინც რას წერს, რაზე წერს ეს კაი კაცი? ჩამოთვლა, მოყოლა, ცოტა არ იყოს, ძნელია.

წერს ყველაფერზე, რაც აწუხებს, გულს ულონებს და გონებას უმღვრევს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების გათითოკაცება, მისი ინდიფერენტულობაა, როცა კაცისთვის მთავარი საკუთარი კეთილდღეობა, საკუთარი სტომაქია.

არის პრობლემა? დიახაც არის და გვარიანად საჭირბოროტოც. ამიტომაც ფეხზე ვეღარ წამომდგარვართ.

თავის თავზე ერთობ მოკრძალებულად, ფრაგმენტულად წერს: „ერთ დროს საპასუხისმგებლო და სახიფათო ორგანიზაციების თანამშრომელიც ვიყავი და სახელმძღვანელო პოსტიც მქონდაო“. და კიდევ: „ჩვენმა, ჯაფარიძეების ოჯახმა თავის დროზე ზურაბ ჟვანიას ამაოდ ვთხოვეთ, მოგვეცით აფხაზეთიდან დევნილი, ყველაზე გაჭირვებული 20 ოჯახი და ჩვენ მივხედავთო“; იხსენებს, როგორ ააშენა თავის ეზოში საბურთალოზე, ქვემო ვეძისში, რესტორანი „ანცი“ დევნილთა დასახმარებლად და როგორ ახრჩობდა საგადასახადო უწყება, ვინ გკითხავს მათ დახმარებასო.

ანზორს საგულისხმო მაგალითად მოჰყავს თავისი მშობლიური ახატელის მეზობელი აზერბაიჯანული სოფელი ყარაჯალა, რომელიც დღეს ერთ-ერთი უდიდესია მთელ კახეთში, 1600-კომლიანი. არადა, იყო დრო, როდესაც სწორედ ახატელი იყო 1600-კომლიანი, ის ჩამოიმცრო, 100-კომლამდე დაცოტავდა...

ავტორი ამ ტრაგედიაში მეზობლებს კი არ ადანაშაულებს, რაიმე ბრალს კი არ დებს, აქაოდა, დახეთ, როგორ მრავლდებიანო, პირიქით! — ქართველთა, თანასოფლელთა გულარხეინობას, მათს მოკლე თვალთახედვას მისტირის, შენატრის ყარაჯალელი მუსლიმანი სასულიერო პირების რუდუნებას მრევლის საკეთილდღეოდ.

ანზორ ჯაფარიძე გვაცნობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისთვის ეკლესიას, ამის გათვალისწინებით გაარემონტა მან თავისი ხარჯებით ახატელში ორი გაუდაბურებული, მიტოვებული და მესამე, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფი ეკლესია. კეთილმოაწყო მათი ეზოები, მისასვლელი გზები.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ანზორს ლამის ყველაფერზე ხელის აღება მოუხდა, რადგან ვერა და ვერ მიაღწია მღვდლის გამწესებას ახატელში. მან საპატრიარქოს მიმართა თხოვნით. მას თურმე პატრიარქის სახელით უპასუხეს, მღვდლების დეფიციტის გამო, თხოვნას ვერ დაგიკმაყოფილებთო. ამ პასუხმა ანზორს სრულად დააკარგვინა ყოველგვარი სწრაფვა და გვერდზე გადგა. ეს სულიერი განდგომა მანამდე გაგრძელდა, სანამ ერთხელ აღსარება არ უთხრა თავის მოძღვარს ამირან ამირანაშვილს, ყოფილ მსახიობს, მომღერალს, რომელმაც მას თვალები აუხილა, როგორ დაიჯერე, რომ შენ უარი გითხრეს უწმინდესის ნებითო!

ამან თვალთაგან ლიბრი გადააცალა, თავდადებული მხარდამჭერი გახდა მამა ამირანის პატრიოტული მოწოდებისა: გავიდეთ სოფლებში, გავიდეთ მიტოვებულ ეკლესიებში, რწმენა განვუმტკიცოთ ხალხს!

**აქვე:** დღეს სოფელ ახატელს უკვე ჰყავს მღვდელი ზაქარია ჩიხრაძე, რომელიც სამივე აღდგენილ ეკლესიაში წირავს და იმედს ამკვიდრებს სოფელში ღვთის სიტყვასთან ერთად.

ანზორი წერს ჩვენი მღვდელმთავრების თავდადებაზე. უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ძალისხმევაზე 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ცხედრების გამოსატანად ბრძოლის ადგილებიდან, პატრიარქის დიდ სულიერ სიწმინდეზე, რის სამაგიეროდაც გადაგვარებულმა ადამიანებმა არაერთგზის მორალურად სასიკვდილოდ გაიმეტეს. მთელი ერი უნდა აღვდგეთ შეურაცხყოფისგან მის დასაცავად, ვაგრძნობინოთ, რომ უმადურები არა ვართო; წერს მეუფე დავით მახარაძის დიდ პატრიოტიზმზე და ერის საკეთილო მოღვაწეობაზე; გვაცნობს ბოლნისის რაიონის სოფელ აკაურთის მღვდელს, სოხუმელ ბასილ (გიზო) ახვლედიანს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, რომელიც თავისი საღვთო მოღვაწეობით სასწაულებს ახდენს, მუსლიმან მოსახლეობასაც კი თავი შეაყვარა.

ანზორი განსაკუთრებული სიმწვავითა და გულისტკივილით წერს დღევანდელ ეკონომიკურ შეჭირვებაზე, რამაც ხალხი სულიერადაც გაალატაკა და გააუბედურა. ერის სირცხვილი მიხეილ სააკაშვილი სოფელს და გლეხს დაერია, მოსპო და მოაოხრა, ჩაუკეტა ბაზრის გზა, სამაგიეროდ ეს გზა გაუხსნა უცხოურს, გენმოდიფიცირებულს, მომწამვლელს...

ავტორი იხსენებს ავადმოსაგონარ ამბავს, როცა ცხინვალში მოედანზე, სახალხოდ 50 დატყვევებულ ქართველ ჯარისკაცს დაჩოქება უბრძანეს და ისინიც უმალ მუხლებზე დაეცნენ, რამაც საშინელი სირცხვილის გრძნობა დაბადა ხალხში. იმ მხდალ, სულმოკლე ჯარისკაცებს უდარებს გმირ არჩილ ტატუნაშვილს, რომელმაც თავისი მოწამეობრივი სიკვდილით ერის მეობა უზომოდ აამაღლა.

აი, ამის შესახებ გვიამბობს ეს პატარა წიგნი, იქნებ არც მთლად სიტყვაკაზმულად, არც მთლად გაშალაშინებულად, მაგრამ მიზანში ზუსტად მორტყმულად. ამიტომ ჯდება იგი მყარად მკითხველის ცნობიერებაში.

რაც მთავარია, ავტორმა იცის, რომ პირზე მომდგარი ყველა სიტყვის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ძველი სტოიკოსივით აქ დგას და სხვაგვარად არ ძალუძს. ამბობს, რათა მოყვასმა შეისმინოს და ყურად იღოს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ანზორ ჯაფარიძე რამდენიმე პოეტური და პროზაული წიგნის ავტორია.

**სანდრო ალექსიძე**

გამოცემა




# ერის წყლული აჩნდეს წყლულად...

**როცა გრძელდება გააფთრებული ბრძოლა მასკულტურასა და კულტურას შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი წმინდაქართული ლიტერატურული ჟურნალის გამოცემას, როგორიცაა „ანეული“ — ითქვა ლაზარეს აღდგინების დღეს ქვეყნის პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ აღნიშნული კრებულის წლევანდელი პირველი ნომრის წარდგინებისას.**

დასტურ!

*თვით ჟურნალის მთავარ რედაქტორ* თამარ შაიშმელაშვილისა და „ანეულთან“ არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრთა ეროვნულობა გახლავთ ის ფაქტორი, რომელიც უკვდავი რევაზ ინანიშვილის მრწამსის ერთგულებაში გამოიხატება და მკითხველ საზოგადოებას ერის მაჯისცემაზე მიყურადებული სტრიქონებით ანებივრებს.

ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ ახალ პოეტურ ქმნილებებთან, პროზაულ ნაწარმოებებთან, თარგმანებთან და ფერწერულ ტილოებთან ერთად ვეცნობით ჩვენი ძვირფასი კოლეგის თამარ შაიშმელაშვილის რეპორტაჟს რუსთაველის საზოგადოების დელეგაციასთან ერთად საქართველოს ისტორიულ კუთხეში — საინგილოში (ჰერეთი) ორდღიანი მოგზაურობიდან, სადაც ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებში კულტურული ძეგლები და ქართული სოფლები მოინახულეს.

გულის სისხლითაა ნასაზრდოები ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ, მეუფე ისაიასთან საზღვრისპირა რეგიონში ჩაწერილი ინტერვიუ მრავლისმთქმელი სათაურით „მგონია, რომ გამოგონილი ჯებირები აუცილებლად გაიხსნება“.

ტრადიციისამებრ, ძველი გვარდიის, გნებავთ — მძიმე არტილერიის ღირსეული წარმომადგენლების ნაკალმართა გამოქვეყნებასთან ერთად „ანეულის“ რედაქცია შემოქმედებითი ნათლობის საშუალებას აძლევს დამწყებ ავტორებს. საილუსტრაციოდ მოჭიდავისა და მხატვრის ნოდარ რეხვიაშვილის დასახელება კმარა, რომლის ნამუშევრებიც როგორც გარეკანის პირველ, ისე ბოლო გვერდებს ამშვენებს.

გამოცემა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდების მინიჭებას ულოცავს პროფესორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორ რევაზ ბალანჩივაძეს, საიუბილეო თარიღებს კი — ცნობილ მეცნიერ-ჰიდროგეოლოგს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, თბილისის საპატიო მოქალაქე ნოდარ (ოჩო) ცერცვაძესა და მთამსვლელ ჯაფარიძეთა სახელოვანი დინასტიის ღირსეულ მემკვიდრეს, ჩინებულ კალმოსანს, მეცნიერს, პედაგოგს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტსა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, თსუ-ს პროფესორს, ამიერიდან — ქართული კულტურის რაინდ ივანე ჯაფარიძეს, რომელსაც ლევან გოთუას დაბადების დღეს მცხეთაში დიდი მწერლის საფლავთან გოთუებისა და ჯაფარიძეების ალპინისტურ-რაინდული მეგობრობის ერთგულების ნიშნად ქართული თავადიშვილური ქამარ-ხანჯალი გადაეცა.

აუცილებლად გვესახება მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ, სხვათაგან განსხვავებით, „ანეულში“ შოთა ნიშნიანიძის დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 20 წლის აღსანიშნავად დასტამბულია საყვარელი პოეტის სამაგიდო ლექსი „ციხე-ტაძართა საგალობელი“.

სამწუხაროდ, საგაზეთო ფორმატი გვაიძულებს აქ დავსვათ წერტილი, თუმცა, ვიდრე მორიგი ნომრით დავტკბებით, მადლიერება გვსურს გამოვხატოთ ჭეშმარიტად ეროვნულ ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველთა — ნიკოლოზ კურტანიძის, გულიკო ზუმბაძის, ქეთევან შენგელიასა და დავით შემოქმედელის მიმართ.

**გია პლატონიშვილი**



# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე, წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 78 420 მ$^{3}$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 52 575 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5257.5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 458 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 25 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 24 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ე) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია, ,,ახალსოფლის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 570 მ$^{3}$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 58 710 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 871 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 | 6 071 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 25 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 24 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 15 075 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 254 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1225.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 425 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 25 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 24 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით |

| | | |
|---|---|---|
| | | სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. უდაბნოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. გეზალდერზე „უდაბნოს“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 19 930 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. უდაბნოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 200 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 620 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 820 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 25 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 24 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე, წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მეტრს;<br>დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 |

| | | |
|---|---|---|
| | | მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაკიეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 540 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაკიეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 58 690 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 869 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 069 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 25 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 24 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 24 მაისს დღის 18:00 საათზე. |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან |
| | | არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს სასოფლო-სავარგულებთან მისასვლელი გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, რათა არ შეფერხდეს მოსახლეობის მისვლა სავარგულებამდე;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>თ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, |

| | | |
|---|---|---|
